ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1442850

ნომერი: AR1242448

თარიღი : 05.08.2014

გაცემის თარიღი : 20.08.2014

გაცნობის თარიღი : 20.08.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფშიძე , N 3ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერი რამიშვილი პ/ნ 01017004400
- თბილისი ბესიკის ქ. N 5 ბ. 12

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განმეორებით განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურის მიერ №1431485 და №1435343 გადაწყვეტილებებით გეცნობათ აღნიშნული ხარვეზის შესახებ, რომელიც თქვენი მხრიდან არ იქნა გათვალისწინებული და კიდევ ერთხელ განგიმარტავთ:

ვინაიდან საჩრდილობლის მოწყობით გარკვეულწილად იზღუდება სარეკონსტრუქციო ფართის ზემოთ არსებული ბინის მესაკუთრების უფლებები, მის საკუთრებაში არსებული ბინის თავისუფალ ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, რაიმე სახის უთანხმოების წარმოშობის თავიდან აცილების მიზნით, საჩრდილობლის მოწყობის საკითხი ამ ეტაპზევე შეთანხმებული იქნას თქვენს საკუთრებაში არსებული ფართების ზემოთ არსებული ბინის მესაკუთრებთან. წარმოსადგენია აღნიშნული მესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები, რომელიც უნდა ატვირთოთ "დამატებითი ფაილის მიმაგრების" ველში და ამასთანავე უნდა მოგვაწოდოთ მათი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

თქვენს მიერ აღნიშნული მესაკუთრეები დარეგისტრირებული იქნა თანაგანმცხადებლის სახით, რაც დაუშვებელია. საჭიროა წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული მესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.